ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N95/გ

ქ. მცხეთა 01 ივლისი 2014 წ

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ ლეო ანთაძე, შემდგომში „მომწოდებელი„ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: (წარმომადგენლობითი ხარჯი)

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 2014 წლის 02 ივლისს მცხეთის მუნიციპალიტეტში სახალხო არტისტის მიერ მონო - სპექტაკლი „ქვიშხური ესკიზების" წარმოდგენის გამართვა.(CPV92300000).(ინვოისი თან ერთვის)

2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების გაწევის ვადაა 2014 წლის 02 ივლისი.
2.2 მომსახურების საერთო ღირებულებაა 700 (შვიდასი) ლარი.

3. მხარეთა უფლება – მოვალეობები

31 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
3.1.1 უზრუნველყოს ხარისხიანი მომსახურება.
3.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
3.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

4.1 თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
42 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
4.3 მომსახურების არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს გასაწევი მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

6. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

6.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ფორს – მაჟორი

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 თუ "მიმწოდებელი" და "შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

9.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

9..3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

10.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული განყოფილების საინფორმაციო განყოფილების მთ. სპეციალისტი ინნა ახალბედაშვილი.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წლის 29 აგვისტოს ჩათვლით.

12 . ანგარიშსწორება

12.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
მცხეთის მუნიციპალიტეტი	ი.მ „ლეო ანთაძე"
მის: ქ. მცხეთა,ანტიოქიის ქ. 7	მის: ქ. თბილისი
ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"-ს მცხეთის ფილიალი	ბანკი: პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა GE93LB0120130269077000	ა/ა GE27PC0233600100006189
ს/კ 236094196	ს/კ 010606934
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	
გ. ატაშვილი	ლ. ანთაძე